№ 122

შაბათი, 11 ივნისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 122

შაბათი, 11 ივნისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კოპეიკი.



დამზღვევი საზოგადოება
**„იაკორი“**
(ღუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**
ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**
მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—13)


## ახალი ამბავი

*** წრეულს, პირველ კლასიკურს გიმნაზიაში დაამთავრეს სწავლა და მიიღეს მოწმობა 35 ყმაწვილმა, რომელთა შორის შვიდი ქართველია: ავალიშვილი ზურაბ, გამრეკელი ბორ., გრძელიშვილი ალექს., ჯანდიერი ნიკ., ზუბალაშვილი მიხ., წინამძღვრიშვილი იოსებ, ელიოზიშვილი კონსტანტინე. ამათში ავალიშვილი ზურაბი ოქროს მედალით იქმნა დაჯილდოვებული.

*** ტფილისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულომ დანიშნა ქ. ახალციხის საბჭოს ხმოსნების არჩევანი 7 აგვისტოსათვის და რადგან ქ. ახალციხეში შემოკლებული საქალაქო თვით-მმართველობა უნდა იყოს შემოღებული, არჩეულნი იქმნებიან მხოლოდ 14 ხმოსანი, მე-15 ხმოსანს დანიშნავს თვით ბ-ნი გუბერნატორი ებრაელთაგანს, რომლის თაობაზედაც ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი შუამდგომლობს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე.

*** ოთხშაბათს, 8 ივნისს ქალაქის გამგეობაში კრება იყო, საბჭოს განსაკუთრებული კომისიისა, რომელშიაც იყვნენ ხმოსანნი, ტეხნიკები და სხვა მცოდნე კაცები. კომისიის კრებაში მონაწილეობა მიიღეს გამგეობის წევრთა და ქალაქის მოურავმა. კრებაზედ ლაპარაკი იყო საკანალიზაციო არხების გაყვანის შესახებ ქ. ტფილისში საზოგადოდ და კერძოდ მე 10-ე ნაწილში. კომისიამ შემდეგ ხანგრძლივის ბაასისა დაასკვნა, რომ საჭიროა ქალაქმა გადასდოს 50,000 მ., რომელსაც მერე ისევ დაიბრუნებს ქალაქი და ამ ფულით მოწვეულ იქმნას ამ საქმის მცოდნე მთელის ქალაქის არხების გაყვანის გეგმის შესადგენად. რაც შეეხება საცდელად არხების გაყვანის ქალაქის მე-10 ნაწილში, კომისიამ დაადგინა, რომ ეგ საქმე შეყენებულ იქმნას იმ დრომდე, მანამ ამ ნაწილის არ ხების გაყვანის პროექტიც არ მოჰყვება საერთო გეგმას მთელს ქალაქში საკანალიზაციო არხების გაყვანისას.

*** რადგან მუშაობა შემცირდა ფილოქსერის წინააღდეგ ბრძოლისათვის, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა საკეთილოდ დაინახა დაასკვნას იმ საფილოქსერო დ სებს, რომელნიც წრეულს გაგზავნილნი არიან რაჭის მაზრას ქუთაისის გუბერნიაში და ტფილისის გუბერნიის იმ ადგილებში, სადაც ვენახებია გაშენებული, გარდა გორის მაზრის იმ ზოლისა, სადაც ცნობილია საჭიროდ ბრძოლა ფილოქსერასთან, დათვალიერება ყველა ვენახებისა, რათა ჩქარა გამოირკვეს ამ ვენახების მდგომარეობა. უნდა დაათვალიერონ აგრეთვე ვენახები განჯის გუბერნიისა და ბაქოს გუბერნიაში, მთლად რკინის გზის სიგრძეზედ. როდესაც გასინჯული იქმნება ვენახები, უნდა გაისინჯოს აგრეთვე ვაზის ფესვები, რომლებიც საეჭვოდ ეჩვენებათ გარეგნობით და თუ აღმოჩნდება ისეთი ვენახები, რომელშიაც შესაძლებელია ფილოქსერაა გაჩენილი ან შეტანილი მევენახეებისა და მებაღეებისაგან და სხვ., მაშინ ეს, ყოველივე უნდა აცნობონ კომიტეტს, რომლის განკარგულებით დაწვრილებით იქმნება გასინჯული ყველა საეჭვო ვენახები. დაწვრილებითი გამოკვლევა ვენახებისა საჭიროდ ცნობილია:

ა) მდ. ჩხერიმელის სათავეში—25% გამოკვლევა 150 დესეტინისა; ბ) მდ. რიონის ხეობა'ში—10% 150 დესეტინისა დერჩის სასოფლო საზოგადოების ვენახებისა ლეჩხუმის მაზრაში და გ) გორის მაზრის დასავლეთ მხარეს თითო ვაზობით 6 დეს. და 25% გამოკვლევა 150 დეს. იმ ვენახებისა, რომელნიც გაშენებულნი არიან ცხინვალიდგან სამხრეთად და სურამის განყოფილების სოფლებში, სოფ. წიფას მახლობელ ადგილებში შორაპნის მაზრისა. კომიტეტმა საჭიროდ დაინახა აგრეთვე არ შემცირდეს მუშაობა ქუთაისის გუბერნიის იმ ადგილებში, სადაც ფილოქსერა უკვე არის.

*** ხარჯთ-ამკრებთა ინსპექტორებათ დაუნიშნავთ ყარსის ოლქში დ. ხოშტარია და ერევნის გუბერნიაში ილ. ჩიქოვანი.

*** მარტყოფელებსა და ახალსოფლელებს აქამომდე საერთო სახელმწიფო ადგილები ჰქონდათ სახნავ-სათესი და საძოვარი; ხშირად უთანხმობაც მოსდიოდათ ამ ადგილების სარგებლობისა გამო. ტფილისის მაზრის უფროსის მეცადინეობით სახელმწიფო ადგილების გამგეობამ გადასწყვიტა მარტყოფელებსა და ახალსოფლელებს თავ-თავისი წილი

## ფელეტონი

### ქ. ახალციხე და საფარის მონასტერი

(დასასრული*)

ახალციხეში ამ ჟამად შემდეგი დაწესებულებანი და სასწავლებლებია: 1) ახალციხის საქალაქო მმართველობა დაარსებული 1876 წ. ივნისის 18-ს. 2) ახალციხის მმართველობა მოქალაქეთა საქმეთათვის (мѣщанская управа), დაარსებული 1879 წ. იანვრის 4-ს. 3) სამაზრო მმართველობა. 4) სამაზრო სასამართლო. 5) ახალციხის სამაზრო ხაზინა. 6) ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა. 7) ახალციხის ნუზლ-სურსათის მაღაზია. 8) ახალციხის ჯარის-კაცთა მოკრების მმართველობა. 9) არდაგანის საინჟენერო მმართველობა (Управленіе Ардаганской инженерной дистанціи). 10) სამოქალაქო პოლიცია. 11) სამოქალაქო სასწავლებელი, გადაკეთებული 1875 წ. სამაზრო სასწავლებლიდამ. უკანასკნელი არსებობდა 1831 წლიდამ. 12) სომხების კარაპეტას სასწავლებელი ვაჟებისთვის, დაფუძნებული 1836 წ. 13) სომხების ელისაბედის დედათა სასწავლებელი, დაფუძნებული 1869 წ. 14) ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების დედათა სასწავლებელი, დაფუძნებული 1872 წ. 15) სამრევლო სასწავლებელი, დაარსებული 1891 წ.

ახალციხის სამხრეთით, 7—10 ვერსის სიშორეზე, მდ. ურაველის მარცხენა კიდეზედ ამ ჟამად მდებარეობს ძველი შესანიშნავი საფარის მონასტერი, რომელსაც ბატონიშვილი ვახუშტი თავის გეოგრაფიულს აღწერილობაში იხსენიებს ამ გვარად: „ახალციხის წყლისა მტკვრის შესართავს ზეით, მტკვარს მოერთვის ცუნქის-ხევი. გამოსდის ერუშეთის მთას, და მოდის აღმოსავლეთ ჩრდილოს შორის: ამ ხევს ერთვის ღრელოსხევი, მისვე მთის კალთის გამომდინარე: ამ ხევზედ არს საფარას მონასტერი, შვენიერად დიდ-შენი, გუნბათიანი, ყოვლად წმიდისა: ეს იყო შემკული ყოვლითა საეკკლესიოსა და წმიდათა ნაწილებითა, და დაეფლნენ ათაბაგნი, და აწ არს ხუცის ამარ“. (ვახუშტის გეოგრ. გვ. 90). ურაველის წყალი, რომელიც ერთვის მტკვარს მარცხენა მხრიდამ და რომლის მარცხენა კიდეზედ, როგორცა ვსთქვით, აღმართულია მშვენიერი გუმბათიანი საფარის მონასტერი, სრულებით არა აქვს ნაჩვენები ვახუშტის არც აღწერილობაში და არც ქარტაში. იქ, სადაც ამ ჟამად ურაველის წყალი მომდინარეობს, ვახუშტის ქარტაში ღრელის წყალია აღნიშნული ე. ი. საფარის აღმოსავლეთით. ნამდვილად-კი ღრელის-ხევი საფარას უძევს არა აღმოსავლეთით, არამედ ჩრდილოეთით, ასე რომ მონასტერი საფარისა ამ ორ-ხევ შუა რჩება: ურაველისა და ღრელისა. თითქმის სულ მთლად გარეშემო საფარის მონასტერი მთის კალთებით არის შემოზღუდული, ასე რომ მანამ კაცი ზედ არ მიადგება, ძნელია მისი დანახვა შორიდამ. ამ გვარის გეოგრაფიულის მდებარეობით უნდა აიხსნებოდეს თვით სახელწოდება მისი «საფარა».

საფარის მონასტერში სულ 12 ეკკლესიაა, რომელთაგან 11 მთლად დაცულია, მხოლოდ მეთორმეტე, რომელსაც ეძახიან ათაბეგების ეკკლესიას, საძირკვლამდე დანგრეული. ამ ეკკლესიების აღშენებას სხვა-და-სხვა დროს დასდებენ, მხოლოდ ყველაზე უძველესად-კი ამათში სთვლიან ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესიას. უმთავრეს ეკკლესიას, რომელიც აშენებულია წმ. საბას სახელობაზე, მიაწერენ 1309 წ. (იხ. Кавказъ въ древн. памятн. христіан. გვ. 133). პ. იოსელიანი საფარის მონასტერს მიაწერს X საუკ. (იხ. Крат. ист. груз. ц. გვ. 68. შენიშ. 58). თვით ეკკლესიებს, იმის შესახებ თუ რომელ წელს არის აღშენებული თვითოეული მათგანი, არავითარი წარწერები არა აქვთ.

ძველად საფარის მონასტერს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ისტორიაში. იგი ეკუთნოდა იმ გვარს მონასტრების გუნდს, სადაც ქართველი ახალგაზდობა მიისწრაფოდა სწავლა-განათლებისა და მეცნიერების შესაძენად, ზნეობითა და გონებით აღსაზრდელად; იგი ითვლებოდა იმ ადგილად, სადაც სდუღდა და გადმოდიოდა სამწიგნობრო მოღვაწეობა, სადაც მრავალ ბერ-მონაზონთაგან იკვლეოდა ქართული ენა, ითარგმნებოდა და მშვენიერის ხელით იწერებოდა მრავალი საღმრთო და საეკკლესიო წიგნები. აქა სცხოვრობდნენ ბერები არა ათობით და ასობით, არამედ ხუთასობით და ექვსასობით და გულ-მხურვალედ მოღვაწეობდნენ ხალხის წარმატებისათვის, მის სარწმუნოებისა, ზნეობისა და ეროვნების დაცვისათვის. ესენი სრულიად არ იყვნენ დაშორებულნი სოფელს. პირ-იქით ხშირად მოდიოდნენ მონასტრიდამ სოფლად და ყოველს გაჭირვებულს შემთხვევაში იყვნენ ხალხის პირველნი მანუგეშებელნი, დარდის განმაქარვებელნი და დამრიგებელნი. საფარიდამ, როგორც საზოგადოდ საქართველოს ყველა ძველ მონასტრებიდამ, გამოდიოდნენ განათლებულნი მწყემსნი და ესენი, აღჭურვილნი ცოდნით და სიყვარულით საზოგადო საქმისადმი, პატიოსნურად და კეთილ-სინიდისიერად მწყსიდნენ თავიანთ სამწყსოს.

საფარამ ამ გვარი თვისი მნიშვნელობა და ძალა დაჰკარგა მხოლოდ იმ დროდამ, როდესაც ეს მხარე დაიპყრო ოსმალეთმა (1625 წ.) და მისმა ძლიერებამ ცეცხლითა და მახვილით იწყო დამყარება მთელს სამცხო-საათაბაგოში. ამ დროდამ ოსმალები ყოველს ღონისძიებას ხმარობდნენ, რომ დამორჩილებულს ქვეყანაში სრულებით ამოეგდოთ კვალი ქრისტიანობისა, უპატიურად და უკადრისად მოჰქცეოდნენ ხალხის წმიდა სარწმუნოებრივს გრძნობას, გაენადგურებინათ ეკკლესია-მონასტრები, შეემცირებინათ რიცხვი სასულიეროთა, შეელახათ და ძირიანად ამოეგდოთ ყველა ის, რაც-კი იყო ეროვნული, რაც-კი შეადგენდა ხალხის ეროვნულს სახეს. ამისთანა გამწვავებულს დროს და ამ გვარ ხალხის ხელში, რასაკვირველია, სრულებით შეუძლებელი იქნებოდა, რომ საფარის მონასტერს ისეთივე მნიშვნელობა, დიდება და პატივი ჰქონოდა, ისეთივე მტკიცე მცველი და მფარველი ყოფილიყო იგი სწავლა-მეცნიერებისა, ზნეობისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა, როგორც წინად. ამისათვის ისიც საკვირველი უნდა იყოს, რომ ოსმალების ბატონობის დროს ბევრგან ამ მხარეში ადრევე დანგრეულ და გაუქმებულ იქმნენ ეკკლესიები და საფარის მონასტერი-კი, არა თუ გაუუქმებიათ, არამედ, როგორცა სჩანს, აქ მე XVIII საუკუნეშიაც კიდევ უსრულებიათ ღვთის-მსახურება. (Дим. Бакрадзе. Кавказъ въ древн. памятн. христіан. გვ. 133). შემდეგ ახალციხის აღებისა რუსთაგან 1828 წ., საფარა შტატის ეკკლესიად დაიდო და ზედ მიწერილ იქმნა რამდენიმე ახლო-მახლო სოფლები: მუსხი, ღრელი, ანდრიაწმინდა და

*) იხ.) „ივერია“, № 117.

მიუზომოს და ერთავად საქმე დააბოლოოს.

ამ განზრახვით სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წარმომადგენელის წინადადებით, სახაზინო ადგილების გამგეობა გზავნის მიწათ-მზომელს თვის მოხელეს, ბ-ნს ევსაფიევს, რომელიც ამ თვის 15-ს უნდა წავიდეს ზემოხსენებულ სოფლელებს შორის ადგილების გასანაწილებლად. ამას გარდა იგივე ევსტრაფიევი დავალებულია სახელმწიფო ქონებათა გამგეობისაგან, რომ სამზღვარი გაავლოს მარტყოფელების და სხვ. ახთაქლიასა და ყარათაქლას თათრებს შორის კიდევ სახნავ-სათესისა და საძოვარ ადგილების სამფლობელოდ. ეს დავა მარტყოფელებსა და თათრებს შორის თურმე 65 წელიწადია რაც სწარმოებს და ვერ გათავებულა. დღესაც დავა აქვს ხაზინას და ზოგიერთ ალალარებს ადგილების თაობაზედ სასამართლოებში და სანამ ეს საქმეები არ დაბოლოებულა, ჯერ ხანად მარტყოფელებსა და თაქლელებს შორის სამზღვარი დროებით იმქნება გატარებული. ამ საქმეების გამო ტფილისის მაზრის უფროსი თავადი ლ. ჯანდიერი მომავალ სამშაბათს, 14 ივნისს, მარტყოფს მიდის, რომ თვითონ დაესწროს ზემოხსენებულის ადგილების სოფლელებს შორის განაწილებას.

*** 9 ივნისს მოლნინის ეკკლესიის გალავანში იპოვნეს რვა თვის დაბადებული მიგდებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** 8 ივნისს თიხის მეჭურჭლეების ქუჩაზედ მიხეილ ივანოვის სარაიას ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი ცეცხლის მქრობელმა რაზმმა გააქრო. ზარალი მცირეა. მრეცხავს ცეცხლი დაენთო სასარეცხოში, შემდეგ ანთებული დაეტოვებინა, სადღაც წასულიყო და ცეცხლიც იქიდან გაჩენილიყო.

## დამაკვირდი

ანთებული სანთელი ჩაიწვის და ჩაქრება, ხოლო ერთხელ ანთებული ცოდნა-კი თავის დღეში არა: მამიდგან შვილზედ გადადის, შვილიდგან შვილი-შვილზედ უფრო განდიდებული, უფრო გაძლიერებული.

ი. ჭავჭავაძე

**

მგზ მკალი, რომელ არს გარემოს შენსა, ყოველივე იქმნეს ვარდის ფურცელი სურნელი, ოდესცა ილვაწებ იქ, სადაც ფრიად არს სამკალა, ხოლო მეშაკნი ყოვლად არა.

წმ. ნინო

**

სწავლა არის ძალა, დიდი ძალა, ძალა ღვთიური; სწავლული თუმცა ღონით სუსტი, უძლური იყოს, ეს ქვეყანა და მისი დიდება მაინც მისაა.

გ. ორბელიანი

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

წაიკითხეთ „კვალის“ მე-24 №-რი? თუ არ წაგიკითხავთ, არამც და არამც არ დასტოვოთ წაუკითხველი, რადგან შიგ ბევრს ჰნახავთ ხელის-ხელ საგოგმანებელს, მაგრამ, რასაკვირველია, არა მარგალიტს, არამედ სახელდახელოს და ყბად-ასაღებ—წყალ-წასაღების მასალას.

ამ ნომერში, სხვათა მრავალთა დ ურიცხვთა წერილთა შორის, დასტამბულია «იმერლის» «გაფრთხილება». ეს ,,იმერელი'' აფრთხილებს ამერეთის ,,კვალის'' რედაქტორსა და მის თანამშრომლებს. დიაღ, ძნელია, როდესაც გაზეთი, თუ ჟურნალი იქამდე წაიკუნტრუშებს უკ. ღმართობის გზაზედ, რომ მკითხველებისაგანაც-კი სიფრთხილის დარიგება მოსდის.

მაგრამ ვნახოთ ერთი, რა მხრივ აფრთხილებს ,,იმერელი'' ,,კვალის'' კალმოსნებს. აი ერთი და საკმაოდ ვრცელი ადგილიც ამ გაფრთხილებიდგან:

„შორს რომ არ წავიდეთ, ერთს მაგალითზე მიგითითებთ. აგერ რამდენიმე თვეა, რაც ერთი გაზეთის ფურცლებზე დათარეშობს ერთი „ვინმე“... ეს ის გმირია, რომელსაც დიდი ხანია, რაც გაუტყდა მეკობრობის ნავი, დიდი ხანია რაც გაისილა ცხოვრების ტალღებთა შეუპოვრობის მსხვერპლად („გაისილა ცხოვრების ტალღებთა შეუპოვრობის მსხვერპლად?“ არ გვესმის და ერთი გუდა ხიზილალა, ვინც რომ ამას გამოიცნობს)... უფრო მდაბიური ენით რომ მოგახსენოთ (ოღონდაც, მდაბიური სჯობია, იქნება გასაგები იყოს მაინც!), ეს იმას ნიშნავს, რომ ბ-ნი მღაღადებელი ხსენებულის გაზეთის უდაბნოსა შინა ეგრედ წოდებული სამოქალაქო კანონით დასჯილი „ვინმეა“. თუ გნებავსთ, მე გაახლებთ ერთი ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლიდანაც დაინახავთ მის ვინაობას,—იმ პირის გულწრფელობას, რომელიც პატიოსნებაზე, კეთილშობილობაზე, მამულის სიყვარულზე და სხვა ამ გვარ მაღალ საგნებზე (უჰ, ამდენი „ზე“?) წამ-და-უწუმ არახუნებს. მე გაცნობებთ ამას ყველაფერს და ეს ჩემი ცნობა იქნება ნამდვილად პასუხი იმ უწმაწურ და უსირცხვილო წერილებისა, რომელნიც იბეჭდებიან ამ ბოლოს დროს ზოგიერთ მოღვაწეთა წინააღმდეგ. იქიდან თქვენ დაინახავთ ვინ გებაასებათ, ვინ იცავს მათ, ვინც ამ გვარ დამცველთა ეძებენ და ჰპოულობენ, ერთი სიტყვით, თქვენ მიხვდებით, რად გახდა ჩვენი მწერლობა, ვინ მოექცა მას სათავეში, ვინ შეიქმნა მისი სულის ჩამდგმელი და წინამძღომელი“...

ამ ,,გაფრთხილებიდგან'' აშკარადა სჩანს, რომ დიდი გაუფრთხილებლობა გამოუჩენია ჯერ იმ ,,იმერელს'' იმითი, რომ თავისის წერილისათვის ის ,,სასამართლოს გარდაწყვეტილება'' არ წარუმძღვარებია ლიტონ სიტყვათა განსამტკიცებლად, და მერე თვით რედაქციას, რომ ეს ლიტონი სიტყვები დაუბეჭდია უსასამართლოს განაჩენოდ,—ეს ყოვლად საყურადღებო ,,განაჩენი''-კი რომ ხელთ არა აქვს „კვალის“ რედაქციას, ამას ნათლადა ჰმოწმობს „იმერელის“ სიტყვები: „თუ გნებავთ, მე გაახლებთო“, სჩ. ნს ჯერ არ უახლებია!.. აი, ეს ორი გაუფრთხილებლობა იმ გაზეთში, რომელიც წერილებს ამ სახელითა ჰბეჭდავს: „გაფრთხილებაო“...

ეს ერთი საბუთი იმისი, რომ „კვალისათვის“

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უძევს დიდი ზღვარი“...

მაგრამ ვიდრე დავუბრუნდებოდეთ „იმერელის“ ლიტონს სიტყვებს, ჩვენ გვსურს ფარდა ავხადოთ იმ საიდუმლოს, რომელიც „ერთის“ ჩრდილშია გახვეული. ბ ნი „იმერელი“ ჰბრძანებს „ერთი(ს) გაზეთის... ერთი „ვინმეო“... და ამითი ისარს ისვრის, შვილდს დამალვას უპირებს, მაგრამ ამ დამალულს სწორედ ჩვენ ავხდით ფარდას.

ეს შვილდი-კი ის გახლავთ, რომ გაზეთ „ივერიის“ მე-115 №-ში დაბეჭდილი იყო ჩვენის თანამშრომლის „ვინმეს“ წერილი და ამ წერილში ჯეროვანად არის დაფასებული „კვალის“ იმ წვერიან ბავშვების თანამშრომელთა უწეს-ურიგო საქციელი, რომელნიც ამ გაზეთის ფურცლებზედ „ალუს“ გაიძახიან. ბ-ნი „ვინმე“ ურჩევდა ამ „ალუს“ ავტორებს, რომ რაღა დროს თქვენი სიბავშვეა და „ალუს“ ძახილი, როდესაც თქვენვე სწერთ, რომ „რაც რომ ვიყავი, აღარ ვარ, ძნელი ყოფილა ჭაღარაო“. «ვინმეა»-კი ამბობდა, რაც ხართ, ის ნურღა იქნებით, ჭაღარას ჰშვენის აღარაო...

აი, ამის საპასუხოდ, ამ „ვინმე“-ს სიტყვების გასაცრუებლად „კვალმა“, სხვა რომ ვერა მოახერხა-რა, გამოატყვრინა ნილაბ-აფარებული „იმერელი“, გაუფრთხილებელი „გაფრთხილება“ დაჰბეჭდა და მკითხველებს აუწყა, რომ „სამოქალაქო კანონით დასჯილია „ვინმეო“. ესეც ერთი კიდევ ახლის-უახლესი, „კვალის“ მიერ დიდის პატიოსნებით ხმარებული იარაღი სალიტერატურო ბრძოლისა.

მაგრამ აბა პირი გავუსინჯოთ ამ იარაღს და დავრწმუნდებით, მჭრელია იგი, თუ ისე ბლაგვი, რომ ნაკრავის კვალსაც-კი არ აჩნევს, თუმცა ,,დაკვალულთა'' თუ დაგვალულთა მიერ არის ლახტად ხმარებული.

ჩვენ ვსთხოვთ გამაფრთხილებელს „იმერელსაცა“ და გაფრთხილებულს „კვალსაც“ სიტყვა-სიტყვით დაჰბეჭდონ ის „გარდაწყვეტილება“, რომელიც „ნამდვილად პასუხი იქნება“ „ვინმეს“ წერილებისა, თუ არა ჰსურთ, რომ იმათს ლაპარაკს „გაუსინჯავი სიტყვა“ ვუწოდოთ, სიტყვა, რომელსაც, მეფე ვახტანგის თქმულებით,

,,ჩხავილი სჯობს ტურისა''...

დაჰბეჭდონ და მაშინ ვნახავთ, ვინც მოჯალაბობს და იმათ, რომელთაც ენაზედ სამართალი აკერიათ,

---

ტობა. შემდეგში, საქართველოს ექსარხოსად ყოფილის პალლადის განკარგულებით შტატი გადატანილ იქმნა ზედ-მიწერილის მუსხის წმ. გიორგის ეკკლესიაში, მხოლოდ საფარა დარჩა მონასტრად, სადაც პირველად დაინიშნა ბერი 1891 წ. ამ ჟამად საფარის მონასტერში დამკვიდრებულია ცნობილი არხიმანდრიტი პაისი რუსის ბერებით და მორჩილებით რიცხვით 60-მდე. ღვთის-მსახურება სრულდება რუსულს ენაზედ.

საფარის მონასტერი დიდებული და სახელოვანი ნაშთია ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ხუროთ-მოძღვრების ხელოვნებისა. თუმცა ჟამთა-ვითარების სიმკაცრეს და დროთა ბრუნვის ულმობელს ძალას მეტის-მეტად დაუზიანებია, მაგრამ თავისი წარსული სიდიადე იმდენად ეტყობა დღესაც, რომ შესვლისათანავე გალავანში, რომელიც არტყია გარს, ადამიანის გული მყისვე იმსჭვალება წარსულთა დროთა პატივის-ცემის გრძნობით. იქაურობას ცხადად ეტყობა, რომ ოდესმე აქ სიცოცხლეს უდუღნია, ოდესმე ეს დიდებული ნაშთი ჩვენის ცხოვრებისა და განათლებისა სიცოცხლით სავსე ყოფილა, მაგრამ ეხლა ყოველივე ესე ჟამთა ვითარებისა გამო გამქრალია.

საფარის ეკკლესიებში ყველაზედ შესანიშნავი და უდიდესი საბა-წმინდის ტაძარია. სიგძით კარი-ბჭიანათ დაახლოებით იქნება 34 არშ., ხოლო სიგანით შვიდი-რვა საჟენი. ნაგებია მოწითანო თლილის ქვით და დახურულია ქვითვე. გარეგანი სახე მისი ჯვარედინია. გუმბათში, რომელიც დაშვებულია შუა ეკკლესიაში, აქვს რვა ფანჯარა, მხოლოდ ძირს—4, თითო-თითო: აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით, კარები აქვს ორი: დასავლეთით და ჩრდილოეთით. როგორც ეტყობა, სამხრეთისკენაც ჰქონია, მაგრამ ეხლა ამოშენებულია. ფანჯრები და კარებები გარეშემო ლამაზის და მაღალის ხელოვნების ჩუქურთმით არის მოჭედილი. შიგნით ტაძრის კედელნი და სვეტნი, რომელზედაც გუმბათია დამყარებული, მშვენიერის მხატვრობით არის შემკული, მაგრამ ზოგან სულ მთლად წაშლილი და წაბლალულია. დარჩენილა მხოლოდ შემდეგი მხატვრობანი: სამხრეთის კედელზედ: წმ. საბა, მანდატურთ-უხუცესი ბექა და ძენი ამისნი: სარგისი, ყვარყვარე და შალვა. დასავლეთის კედელზედ: დიდი მოწამე ევსტათე. სვეტზედ: დამარხული აბრაამი, ზედ აღმოცენებული ხე და ხის ტოტებზედ წინასწარმეტყველების თავები ხუცურის ზედ-წარწერებით: „ელიაზარ“, „დავით“, „ასა“, იოსაფატ“ და „იოთამ“. ჩრდილოეთის კედელზედ: ლაზარეს აღდგინება და ის შემთხვევა სამღრთო ისტორიისა, როდესაც სოლომონ ბრძენს ესტუმრა სავათ დედოფალი. გუმბათის ცაზედ—მაცხოვარი. საკურთხევლის ცაზედაც—მაცხოვარი მჯდომარე, რომელსაც ხელში უპყრავს სახარება ხუცურის წარწერით: „მე ვარ ნათელი სოფლისა რომელი შემომიდგეს, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქვნდეს ნათელი საუკუნო ცხოვრებისა“. მაცხოვარს თავზედ აწერია ხუცურად: ,,უფალი სუფევს შვენიერება შეიმოსა''. კანკელი ახალი აქვს. საკურთხევლის ჩრდილოეთით და სამხრეთით სამკვეთლო და სალაროა გამართული. ტრაპეზი ქვითკირისაა. წინა გვერდზედ გამოქანდაკებულია მამა გერასიმე და მასთან ლომი შემდეგის ზედ-წარწერით: ,,პირთა ლომთასა''. დასავლეთის მხრიდამ ტაძარს მიდგმული აქვს კარიბჭე, დაშვებული სვეტებზე, რომელიც შეერთებულია ერთძანეთთან მშვენიერის ჩუქურთმით მოჭედილ თაღებით. კარიბჭის ცაზედ გამოქანდაკებულია ორი ექვს-ექვს ფრთიანი ანგელოზი. ამ ეკკლესიას აქვს შემდეგი წარწერები ხუცურად: დასავლეთის კედელზედ, კარების თავში, კარიბჭის ქვეშ: ,,სხ თ ღს-თ: მე ოქრ პმან გბ-ცას ძემნ შემსწრა რკბოტნტი: ....სფქლვდ გმკს: სკ-ნი აპი სფლი პ-ს დღ-სსწლრა ალზსა დ·ღს ვნ. ესე გგბლი შეცვლს კრლ-მც არს ღთ-ს პ-რთ ქსხ-ლთ ღთა შეწ-ვთ წ სა ღ-თა მშობლ-ით წ-სა საზასით მე ინე სლ კხ-ლოსა ღვ-სა შვლმან დაჭრლბლმნ ლ-რვსა ცნ-ზასა ზ-ა მყ-ფმნ მვ-ხსნე წრ-სბს პტრსა ცხჯრლსა მმოლი ჩემი დაოკლდ ცნთა ეკლს-თ წყლით ტყთ ჰლ ით სეფთ ყნით ვენახთ წსქლთ ყფ...თ არავინა ამცლბლი მმსა....საცა დაეწრ მე დ·დიმა..თლებდეს ....კიდე კ...ნი მწნი არ დმკლენ: პტრმნ: მნასტრმნ: მნწლემნ: ვნც მმ-ლი ჩემი წ-დს სბს დკლ: ჩემთმცა ბრთ ზღ-ვს: სბს ორგლობს შგნ.... სლ-ნი მსი მეტი რაცა დწერლი ყ-ლი მეტია ლაზ-მ რ-ლ კართ ზა დმწერი აღ-პი გვიკოთეს ...კნ ვნ მცვლს კრლმცა ღ-თს ჰრ-თა ო-ო ღ-თო შეწ-რნ კრ-ნი ვ-ა ბწვლ-ლნი ქურვ-სნი მ-წრი-სა გ-ი მალეს-გნ შე-ნდვნ ღ-ნ“. იქვე გვერდით: ,,უ მ-ნ თ-რსა ტბა ლშ-ს ჯ-რა შმსწრა და''. ეს წარწერები რადგანაც სიტყვა-სიტყვით ვერ ამოვიკითხეთ, ამისათვის პირდაპირ ასოასოთი გადმოვწერეთ. ტაძრის დასავლეთ კედელზედ კარიბჭის ზემოდამ: ,,სრულ იქმნა საყდარი ესე საძირკველით ყოვლისფრითა ხელითა ფარულას ძისათა''.

სამხრეთის მხრიდამ საბა-წმინდის ტაძარს მიდგმული აქვს ღვთისმშობლის მიძინების ეკკლესია, რომლის სიგძე კარიბჭიანათ დაახლოვებით იქნება 26 არშ. ხოლო სიგანე, რვა-ცხრა არშინი. ნაგებია თლილის ქვით და დახურულია ქვითვე. შესავალი კარები აქვს ერთი დასავლეთის მხრიდამ, გარეშემო მშვენიერის ჩუქურთმით მოჭედილი. შიგნით კედლებზედ სხვათა შორის დარჩენილია შემდეგი მხატვრობა ხუცურის წარწერებით: სარგის სამცხის სპასალარი, ყვარყვარე, შალვა, წმ. კოზმა, წმ. კოსტანტინე, წმ. გერასიმე, წმ. პავლე თებელი, წმ. მაქსიმე აღმსარებელი, წმ. ხარლამპე, წმ. ამბროსი, აქა მტილსა შინა ანგელოზმან ახარა იოვაკიმს, წმ. ალვიპი, წმ. სიმეონ ალბელი, აქა: ამბორის ყოფა: იოაკიმისა: და ანნასი, მუცლად ღება:. ანნასი:., შობა: დედისა ღვთისა, წმ. დიონოსიე: არიოპაგელი, წმ. გრიგოლი. საკურთხეველის წინ მარჯვნივ და მარცხნივ ორი სამარეა, რომლებზედაც ზედ წარწერები სრულებით აღარ მოიპოვება, ამისთვის ძნელია გამოცნობა, ვინ არიან აქ დასაფლავებულნი. ამ ტაძარში აქნობამდის დაცული იყო მშვენიერის ხელოვნებით ნაკეთები ქვის კანკელი (რამდენიმე ნატეხი), ზედ-გამოქანდაკებულ სხვა და-სხვა სურათებით, და უმთავრეს ეკკლესიის ქვისაგან გაკეთებული გეგმა, რომელზედაც გავარჩიეთ შემდეგი ხუცური წარწერა: „ქრისტე ადიდე ს-ლითა გაბრიელ დეკანოზი ბაგრატ.....მ.....ენ.....“ ეხლა ეს შესანიშნავი ნაშთნი ჩვენის ძველის ხელოვნებისა და განათლებისა სულ მთლად გადატანილ იქმნა მოსკოვის სისტორიო მუზეუმში.

დანარჩენ ეკკლესიებში უფრო ყურადღების ღირსია სამი ეკკლესია: წმ. გიორგისა, წმ. მარინესი და იოანე ნათლის-მცემლისა. წმ. გიორგის ეკკლესია შემკულია შემდეგის ხუცურის წარწერებით: დასავლეთის კედელზედ, გარედამ, კარების თავში: ,,სახელითა ღვთისათა მე საფარის მოძღვარმან გრიგოლ ნაფშვენის ძემან აქა დამკვიდრებულმან წმიდათა მამათა ალუშენე მცირედი ესე ეგუტერი სახელისა ჩემისა რათა ღმერთმან მეოხებითა წმიდისა და უდაბნოს განმანათლებელისა საბასითა დღესა მას დიდსა განკითხვისასა მიხსნას მარცხენეთაგან და მარჯვენეთა მათ მისთა თანა აღმრაცხოს''. სამხრეთის კედელზედ, გარედგან: ,,ამისა აღმაშენებელსა გრიგოლს მოძღვარსა შეუნდვენ ღმერთმან''. ჩრდილოეთის კედელზედ, შიგნიდგან: ,,წ-ოო საბა მეოხ ეყავ სოფელს ოვნესა ესე წყალო აშენა''. დასავლეთის კედელზედ შიგნიდამ: „პ-ლე ბს-ლმან: ს·მნ და ძმთა შ-ნთა შ·ნ ღ-ნ“. იოანე ნათლის-მცემლის ეკკლესიის სამხრეთის კედელზედ გარედგან, კარების თავში: „შეიწყალე:. წმიდაო:. იოანე:. ნათლის-მცემელო ჯაყელი:. იოსებ:. და ძენი:. მისნი:. ამინ:.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულშიაც იგივე აქვთ, თუ აქაც თქმა და ქმნა შორს გაურბიან ერთმანეთს და ბაგეზედ დაკერებული „სამართალი“ მხოლოდ ფერადად ნახატი განცხადებაა გულუპრყვილო მუშტრის შესატყუებლად.

დასასრულ „იმერელი“ თითქოს ხელიდგან გასხლტომას აპირებს და კითხულობს: „ან ეს რაცა ვსთქვი, რადა ვსთქვიო“? თუ თქვენი ნათქვამი არ დაასაბუთეთ, ის „გარდაწყვეტილება“ არ დაჰბეჭდეთ და აგრეთვე ისიც არ დასძინეთ, საიდგან არის იგი მოპოვებული, მაშინ მაგ თქვენის საკითხავის პასუხი მხოლოდ ეს იქნება: იმიტომა სთქვით, რომ ერთი უშველებელი ჰორი გამოგეცხოთ და მაგ ჰორით გაგეთეთრებინათ შავი საქციელი „ალუ“-ს მთხზველებისა; იმიტომა სთქვით, რომ მაგის მეტი სხვა სთქმელი არა გქონდათ-რა და ეგ ჰორი ის ხავსი იყო, რომელსაც წყალ-წაღებული ეპოტინება ხოლმე თავის გადასარჩენად.

აქ შევდგეთ, აქ ჩვენც, „იმერლისებრ ვსთქვათ „Sapienti sat“ და მოვუცადოთ იმ „გარდაწყვეტილებას“, რომელიც „ვინმეს“ სამარცხვინო სამარეს გამოუთხრის და „კვალის“ რედაქტორ-თანამშრომლებს-კი დიდების კოშკს აუგებს.

ჩიორა

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

იქ, სადაც ჯერ კიდევ შემოღებული არ არის საერობო დაწესებულებანი, თანდათან უფრო და უფრო მეტადა ჰგრძნობენ ამ დაწესებულებათა დიდს საჭიროებას. მაგალითად, გაზ. „Кавказъ“-ი ამბობს, რომ მაისის გასულს კრება იყო კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა, რომელზედაც მოსმენილ იქმნა მოხსენება, რომ „საჭიროა არსებობდეს კავკასიაში სამეურნეო დაწესებულებანიო“. მოხსენების ავტორი შეეხო ხვნა-თესვისა და მეურნეობის სამინისტროს დაარსებას და ის აზრი გამოსთქვა, რომ

„თუ სამინისტროს უნდა თავის სურვილს მიაღწიოს, საჭიროა ამსრულებელნიც ჰყვანდეს თავის აზრისა და განზრახვისაო, ესე იგი, ისეთი დაწესებულებანი უნდა იქონიოს, რომელნიც გამუდმებით ხელს უწყობდნენ სამინისტროს პროექტების განხორციელებას სოფლელთა საკეთილდღეოდ. ეს არის მიზეზი, რომ ასე საჭიროა დაარსება სხვა-და-სხვა მხარესა და კუთხეში ხვნა-თესვის სამინისტროს საკუთარი ორგანოებისა. მეორეს მხრით, სამეურნეო ცხოვრებას ეჭირვება ისეთი დაწესებულებანი, რომელნიც თვალ-ყურს ადევნებდნენ ადგილობრივ მეურნეობის საჭიროებასა და ინტერესებს და აუწყებდნენ ყოველსავე ამას იქ, სადაც ჯერ არს. ეს არის კიდევ მიზეზი იმისი, რომ ასე საჭიროა ადგილობრივი სამეურნეო წარმომადგენლობა და თათბირობა“.

დედა აზრი ამ ლაპარაკისა, როგორც ვხედავთ, ის არის, რომ ფრიად საჭიროა ისეთი დაწესებულებანი, რომელნიც გვაუწყებდნენ, რა ყოფაშია ადგილობრივ მეურნეობა და რა ინტერესები აქვს, რა ეჭირვება ამ მეურნეობას. ამ აზრით, მოხსენების ავტორი ამბობს, რომ კარგი იქმნება დაარსდეს დამოუკიდებელი სამეურნეო საზოგადოებანი, რომელთაც ხვნა-თესვის სამინისტრომ უნდა აძლიოს შემწეობა და სუბსიდიაო.

გარნა არ უნდა დავივიწყოთ, რომ სასოფლო მეურნეობის წარმატება ბევრნაირად დამოკიდებულია მრეწველობის სხვა დარგთა წარმატებაზედ. სასოფლო მეურნეობის წარმატებას უნდა ხელს უწყობდეს აგრეთვე საზოგადო ყოფა-ცხოვრება ამა თუ იმ ადგილის მკვიდრთა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჯერ მარტო იმით, რომ ამ მკვიდრთა კრებულია ბაზარი, ხოლო ამ ბაზარს უნდა ჰქონდეს ასეთი თუ ისეთი ღონე სხვა-და-სხვა ნაწარმოების შეძენისა. ამ გარემოებას-კი მცირედი მნიშვნელობა არა აქვს სასოფლო-სამეურნეო ჰირნახულის გასასაღებლად. ყოფა-ცხოვრება-კი მკვიდრთა, ვითარება გზათა, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეთათვის, დასასრულ შეწყობილ-შეთანხმებული საურთიერთო ზედ-მოქმედება მრეწველობის სხვა-და-სხვა დარგთა—ყოველივე ესე და სხვა ამ გვარი საქმე ვერ დაექვემდებარება განსაკუთრებულ სამეურნეო საზოგადოებათა კომპეტენციას თუნდა მარტო იმ მიზეზით, რომ ამისათვის საკმაო ფული და ღონისძიება არ ექმნებათ და კიდევ იმიტომ, რომ ამისთანა საზოგადოებათა შორის არ იქმნება წარმომადგენელი არც მიწადმოქმედთა და არც მრეწველობის სხვა დარგთა ინტერესებისა, სამეურნეო ინტერესების წარმომადგენელთ გარდა.

ამიტომ ჩვენ ბევრად უფრო სამართლიანი გვგონია აზრი მეორე ორატორისა, ის აზრი რომ

„კავკასიაში ძნელია გაკეთება რისამე უერობოდ, და, მაშასადამე, უფულოდ, მაშინ როდესაც საერობო დაწესებულებას ჩვენში ძალიან მომზადებული ნიადაგი დახვდებოდა, რადგან ცხადად ვხედავთ რა სიფხიზლითა და რა ცნობიერებით ეკიდებიან ჩვენს ქვეყანაში თვით-მმართველობის საქმეს. საკმაოა დავასახელოთ საბანკო კრებანი ჩვენებურის თავად-აზნაურობისა და სხ. რუსეთის კულტურამ ბევრი რამ ისეთი შემოიტანა ჩვენს ცხოვრებაში, რაც ხელს უწყობდა თვით-მმართველობის აზრის აღორძინებასა და ამაღლებას. პირველი საქმე ის არის, რომ ნება მიეცეს მკვიდრთა ძალ-ღონეს ამ სახითა თუ იმ სახით თვითონ გამოიჩინოს უნარი თავის საქმეთა გაძღოლისა და ამა თუ იმ დაწესებულების დაარსებისა“.

მართლაც რომ სწორედ ეს არის პირველი საქმე. ამიტომ სასურველია, რომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ეს საგანი შეიმუშავოს იმისთანა საფუძვლიანობითა და საბუთიანობით, რომელიც საჭიროა ამისთანა საქმეში. (Рус. Жизнь).

## უცხოეთის წვრილი ამბავი

ტანისამოსით განსკუთრებული მაროკოს სულთანი არ განსხვავდებოდა სხვა ზანგებთაგან. მისი ცხენის მოკაზმულობა სრულებით სადა იყო და იმის ახოვან ტანს მთლად ჰფარავდა გრძელი თეთრი წამოსასხამი. კუპრივით შავი წვერი უმშვენებდა მზე მოკიდებულს, მოქანცულობის გამომეტყველ პირისახეს. როდესაც ცხენზედ იჯდა, სასტიკად გამოიყურებოდა, თითქმის მკაცრად, მაგრამ როცა ცხენიდგან ჩამოხტებოდა უცხოელთა ელჩების მისაღებად და პასუხს უგებდა მათ სალამს, მისი სახე ისე ალერსიანად იყო და ტუჩები ისე კეთილად უღიმოდა, რომ ყოველი მასთან მოსული უცხოელი უნებლიედ ჰგრძნობდა იმის გულწრფელს სიყვარულს. ბევრს ეგონა, რომ ეს დიდებული და განუსაზღვრელის უფლებით შეჭურვილი მეფე, რომელსაც სურვილისამებრ შეეძლო მოკმარებინა სიცოცხლეც და ქონებაც თვისთა ქვეშევრდომთა, თავის თავს უბედურად ჰგრძნობსო. ზოგნი-კი ჰფიქრობდნენ, რომ იგი ჰგრძნობდა ევროპის სახელმწიფოთა განათლების უპირატესობას თავის სამფლობელოსთან შედარებით და გულით სწუხდა, რომ მამა-პაპათა ჩვეულება და სჯული აკლებდა სიმულილი განეცხადებინა ამ განათლებისათვის და მის დაუძინებელ მტრად ყოფილიყო. მაგრამ ეს აზრი შემცდარი აზრი იყო. მულეი-ჰასანი, შთამომავალი ალისა და ფატიმასი, მაჰმადის ქალისა, ყოველს მეფეზედ მეტად ამპარტავნობდა. მულეი-ჰასანი, როგორც მისი წინამოადგილენიც, დიდად აფასებდა ფელიკების შთამომავალთა მნიშვნელობას, რომელთა წინაპარი 1620 წ. თაფილეთში სულთანად ამოირჩიეს და მანვე აღადგინა მაროკოში სრულის სიწმინდით და ხელშეუხებლობით მაჰმადიანთა სარწმუნოება. ამაყობდა იმითიც, რომ იგი განაგებდა იმ ქვეყანას, სადაც მულეი-იდრისმა განამტკიცა მაჰმადიანობა და დაამარცხა წინანდელი გამგებელნი—ფინიკიელები, რომაელები და გერმანელები. მულეი-ჰასანს შეიძლება ისევე მოეწონა თავი, როგორც განთქმულს სულთანს მულეი-იზმაილს, რომელსაც 6,000 ცოლი ჰყავდა და ამათგან 1,200 შვილი და რომელსაც ეგონა, რომ დიდს პატივისცემას გაუწევდა უქრისტიანესს მეფეს ლუდოვიკ მე-XIV-ს როცა შეუთვალა, რომ ჩემს ჰარამხანაში მიიღებ 6,001 ცოლად მეფე ლავარიელის სეფე ქალსაო. მაგრამ მულეი-ჰასანი დიდად ამპარტავნობდა თავისით და თავის ქვეშევრდომებითაც, რომელიც ალლაჰისაგან ამორჩეულ ერად მიაჩნდა, მაინც-კი იგი იმდენად ჭკვიანი იყო, რომ კარგად ჰგრძნობდა ზოგიერთ ამ დროის მოთხოვნილებას და ეს სწორედ ამითი აიხსნება მისი ყოფა-ქცევა უცხოელებთან და აგრეთვე ზნე-ჩვეულების განკარგება მაროკოში, სადაც წინად დიდად სასტიკი ჩვეულებები იყო.

---

წმ. მარინეს ეკლესიის, ჩრდილოეთის კედელზედ შიგნიდამ: «უფალო მეუფეო ქრისტე ღმერთო რომელი ადიდებ მადიდებელთა შენთა ადიდე ორთავე სუფევათა პატრონი ჩვენი მანდატურთ-უხუცესი ბექა და ძენი მისნი, რომელმან უღირსნი მიწობისა მათისანი ღირს გვყვნა და გვიბოძა ნასაფლავენი ლასვირისა ძესა ლასვირსა და ძმათა მისთა საუკუნოდ ამინ».

ამ ეკლესიის კედლებზედ დარჩენილია შემდეგი მხატრობა: ჩრდილოეთის კედელზედ სამი პირის სურათია ერთად: ერთს აწერია ხუცურად: „ႱႫႡႲ“, (სუმბატ უნდა იყოს), მეორეს: „ႬႩႪႭႦ“, (ნიკოლაოზ), მესამეს: „ႪႱႥႰႨ ႫႱႾႰႧႳႾႺႱႨ“ (ლასვირ: მსახურთ-უხუცესი). ამავე კედელზედ: წმ. ეფრემი, წმ. საბა, წმ. ანტონი და მახარებელი მათე სამხრეთის კედელზედ: წმ. თეოდორე, წმ. ლუკა, წმ. გიორგი, დასავლეთის კედელზედ წმ. მარინე. აღმოსავლეთის კედელზედ: წმ. ღის.-მეტყველი გრიგოლი და წმ. ბასილი. გარდა ეკლესიებისა საფარაში ძველთაგან დარჩენილია მრავალი კლდეში და მიწაში გამოკვეთილი სენაკ-მაღაროები, ფურნეები, წყაროები, ქვევრები, ათაბეგების სასახლის ნანგრევები და სხ. (ძველად საფარა ათაბეგების საზაფხულო ბინა ყოფილა, იხ. Кавкъ деревн. памятн. христіан. გვ. 133.).

ბოლოს, მეტი არ იქმნება მკითხველს საზოგადოებას ვაუწყოთ, რამდენადაც შევიძლიან, ის თუ რანაირად და რაგვარ ისტორიულ გარემოებათა გამო დაუკარგავს საფარის მონასტერს ყველა ის მამულები, რომელითაც იგი შემკული ყოფილა ძველად, როგორც საზოგადოდ საქართველოს ყველა ძველი ეკლესია-მონასტრები: ახალციხის ბლაღოჩინი გ. გამრეკელი, როგორცა სჩანს, ახალციხის მაზრის სამმართველოში ამ საგნის შესახებ დაცულ საქმეებიდამ, 1837 წ. 2 დეკემბრის № 55 რაპორტით აცნობებს საქართველო-იმერეთის კანტორას შემდეგს: „საფარის წმ. საბას ეკლესია წინად იყო მონასტრად, სადაც მუდამ იმყოფებოდნენ ეპისკოპოსები და ხანდისხან არხიმანდრიტებიც. აღნიშნულს საფარის მონასტერს ძველადგანვე ჰქონდა საკუთარი მამულები: სახნავი მიწები, ტყე, მთები, წისქვილებისათვის და საძოვარი ადგილები, ხილის ბაღები სოფ. ღრელში, ანდრია წმინდაში და სხვაგან, დოკუმენტებიც ჰქონდა მიცემული ოსმალეთის სულთანთაგან იმის შესახებ, რომ ეს მამულები მართლა საფარის მონასტრის უცილებელ კუთვნილება იყო, მაგრამ ეს დოკუმენტები ზოგი დაკარგულა და ზოგიც, დაწერილი ოსმალურს ენაზედ აქვს გორის მაზრის სოფელ ნადრბაზევის მღვდელს საბა ათაბეგოვს. როდესაც მტრებმა (ოსმალებმა) იწყეს ახალციხის მხარეში მცხოვრებ ქრისტიანების ძლიერი დევნა და ეკლესიების აოხრება, საფარის მონასტერი ძალით დაიჭირეს ვიღაც თათრებმა—ზაიმაშვილებმა და იწყეს მის კუთვნილ მამულებით სარგებლობა. მხოლოდ შემდეგ ახალციხის აღებისა რუსთაგან, ზაიმაშვილებმა ძლიერ მცირე ფასად მიჰყიდეს საფარის მამულები ახალციხის მცხოვრებელს კათოლიკეს ანტონ გოგინოვს და ეს სარგებლობს ეხლა ამ მამულებით: თვით საფარის ეკლესიის კარამდინაც-კი იგი სთვლის თავის საკუთრებად. ამისათვის, სამსახურისა გამო ჩემისა მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს ვსთხოვო სინოდალურს კანტორას, რომ მან მოსთხოვოს აღნიშნულს მღვდელს ათაბეგოვს ის დოკუმენტები, რომელიც ამტკიცებს, რომ ეს მამულები ეკლესიის კუთვნილებაა... (შემდეგი აკლია. იხ. ახალციხის მაზრის სამმართველოს არხივში დაცული საქმეები შემდეგის წარწერით: „Дѣло объ имѣніи Сафарскаго монастыря, № 20, на 8 листахъ“). პასუხად ამა რაპორტისა საქართველო-იმერეთის კანტორა 1839 წ. 10 მარტის № 488 ბრძანებით სწერს ბლაღოჩინს გ. გამრეკელს, რომ მან აცნობოს სინოდალურს კანტორას ის, თუ სახელდობრ როდის გადაუციათ მაჰმადიანებს-ზაიმაშვილებს საფარის ეკლესია თავის მამულებით ანტონ გოგინოვისათვის, აქვს თუ არა ამაზე გოგინოვს დოკუმენტები და როდის ან რომელ დაწესებულებაში არიან იგინი დამტკიცებულნი. (იქვე.). თანახმად ამა ბრძანებისა ბლაღოჩინი გამრეკელი 1839 წ. 20 აპრილის № 46 რაპორტით აცნობებს სინოდალურს კანტორას, რომ საფარის მონასტრის მამულები ზაიმაშვილებს გარდაუციათ ახალციხის მცხოვრებელ ანტონ გოგინოვისათვის შემდეგ ახალციხის აღებისა რუსთაგან 1829 წ. ამასთანავე გოგინოვს აქვს რაღაც ოსმალური ბარათები, რომლითაც შეუსყიდია ზაიმაშვილებისაგან საფარის მამულები და რომელნიც დამტკიცებულნი არიან ახალციხის დროებით სამართველოში. ამ-გვარი გასყიდვა საეკლესიო მამულისა, დასძენს ბლაღოჩინი გამრეკელი, უკანონოა, რადგანაც მაშინ არ გამოუკითხიათ ის, თუ მართლა საფარის მონასტერი თავის მამულებით ეკუთნოდა თუ არა ზაიმაშვილებს, ყოვლისფრის გამოუკითხავად და სასულიერო მთავრობის დაუკითხავად საეკლესიო მამული გადასულია კათოლიკეს მფლობელობაში. იმ დოკუმენტებიდგან-კი, რომლებიც აქვს გორის მაზრის სოფელ ნადარბაზევის მღვდელს საბა ათაბეგოვს, სჩანს, რომ ოსმალეთის მმართებლობის დროსაც საფარის მონასტერს ჰქონია თავისი საკუთარი მკვიდრი ქონება, რომელიც ძალით დაუპყრიათ მაჰმადიანებს და შემდეგ ახალციხის მხრის აღებისა რუსთაგან, ეკლესია თავის მამულებით უნდა დარჩენილიყო გარეშე პირთაგან ხელუხლებლივ. (იქვე.). ამაზე საქართველო-იმერეთის კანტორა 1839 წ. 18 აგვისტოს № 2121 ბრძანებით სწერს ბლაღოჩინს გ. გამრეკელს, სთხოვოს ახალციხის საოლქო სამრეველოს (Ахалцихское областное правленіе), რომ მან (სამმართველომ) საფარის მონასტრის მამულების შესახებ გამრეკელისავე თანადასწრებით მოახდინოს კანონიერი გამოკითხვა ფიცის ქვეშ და მამულების კუთვნილებაზე დაადგინოს გარდაწყვეტილება, რომლის (გარდაწყვეტილებისა) პირი გამოგზავნილ იქმნება სინოდალურს კანტორაში განსახილველად. ამასთანავე კანტორა სწერს ბლაღოჩინს გამრეკელს, აცნობოს ახალციხის სამმართველოს, რომ სინოდალური კანტორა თხოულობს, საიდამაც ჯერ არს, საფარის მამულების დოკუმენტებს და მიღებისათანავე გამოუგზავნის აღნიშნულს სამართველოს. (იქვე.).

1842 წლამდე საფარის მონასტრის მამულების საქმე შეჩერებული ყოფილა ახალციხის სამაზრო სასამართლოში იმ მიზეზით, რომ სდომებიათ მოპოება სოფ. ნადარბაზევის მღვდლის ივანე ათაბეგოვისაგან იმ დოკუმენტებისა, რომლებიდამაც სჩანდა, რომ ზემოდ-აღნიშნული მამულები მართლა საფარის მონასტრისა იყო, მაგრამ ეს დოკუმენტები ვეღარ უპოვიათ. ამისათვის 1842 წ. ახალციხის მაზრის სასამართლოს, თანახმად ბლაღოჩინის გამრეკელის 1842 წ. 23 ოქტომბრის № 125 მოწერილობისა, ადგენს, რომ მოსპოს მიწერ-მოწერა შესახებ ზემოდ-აღნიშნულ დოკუმენტებისა, რომლებიც წაუღია, მღვდელს ივანე ათაბეგოვს, და მიანდოს სასამართლოს წევრთა-კრასიოპს და გოლოლობოვს, რომ მათ ამავე სასამართლოს მდივან გაბაევთან ერთად, თანადასწრებით ბლაღოჩინის გამრეკელისა და გოგინოვისა, გადმოიღონ საფარის წარწერები, რომელსაც ასახელებს ბლაღოჩინი გამრეკელი თავის „отношеніе“-ში, და წარუდგინონ სასამართლოს. (იხ. ახალც. მაზრის სამმართველოს არხივში დაცული საქმეები შემდეგის წარწერით: Дѣло Ахалцихской Градской полиціи, №6, о объявлепіи коллежскому регистратору Гогинову о землѣ, лѣжащей въ окрестности Сафарскаго монастыря, началось 5

მულეი-ჰასანი სცხოვრებდა ფესს და მარიკეშს და რამდენსამე კვირას ატარებდა მექინესში. ამ რამდენიმე ხნის წინად ის გამოვიდა მარიკეშიდგან თავისის ჯარით ფესში წასასვლელად და გზა და გზა ჰკრეფდა გარდასახადს, რომელიც ამ ბოლო დროს ძალიან ბლომად იყო დარჩენილი. მანამ მარიკეშიდგან წავიდოდა, თავისი უფროსი შვილის მაგიერად, რომელსაც აღარა სწყალობს, მან დასტოვა თავის სამაგიეროდ საყვარელი შვილი აბდულ-აზისი. აბდულ-აზისი 16 წლისაა, ჩერქეზის ქალის შვილი, რომელიც მულეი-ჰასანმა იყიდა სტამბოლში 25,000 ფრანკ. მულეი-ჰასანს ისე შეუყვარდა ეს შვილი, რომ არას დროს თვალიდგან არ იშორებდა, ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ის ამოურჩია თავის მემკვიდრედ. მაგრამ ამ ამბავმა ეხლავე გამოიწვია მაროკოში მღელვარება. მულეი-ჰასანის მრავალნი ვაჟი-შვილნი საშინელის სიმულილით უყურებენ ახალგაზდა ძმას, რომელსაც ძალიან გაუჭირდება ბრძოლა ძმებსა და დანარჩენ ნათესავებთან.

## სასამართლოს მატიანე

—

7, 8 და 9 მაისს ალექსანდრეპოლში საყურადღებო საქმე გაარჩია სამხედრო სასამართლოს დროებითმა განყოფილებამ: მცხოვრებნი შურაკელი და აგბაბანის საბოქაულოთა. აბბას, ქერბალაიასკერი, მაჰმედ მახრამ ოღლი, სულტან ახმედ-ოღლი, მაჰმედ ქერბალაი-ასან-ოღლი, ასან ისმაილ-ოღლი, უაგრამან მამო-ოღლი, დურსუნ, დაშტემირ, ასტალ დაგარა და ორი ბაითალოები იყვნენ მიცემულნი სისხლის სამართალში იმისათვის, რომ 21 ნოემბერს წარსულის წლისას, ღამით, თავს დაესხნენ სოფელ ნორაშენში ზოლოზ თათევოსოვის ქარვასლას, სადაც ღამის გასათევად გაჩერდა 12 ფურგუნი მალაკნებისა, რომელთაც ერბო მიჰქონდათ ერევანში გასასყიდათ; იქვე ათევდნენ ღამეს სომხები, რომელთაც იჯარით ჰქონდათ აღებული არაყის სყიდვა პოლკის იჯარადარისათვის. ავაზაკებმა ორი მათგანი მსუბუქად დასჭრეს; ქარვასლის პატრონს წაართვეს 510 მანეთი და ორასის თუმნის საქონელი და ზოგიერთ მალაკანს ას-ასი მანეთი,.

სასამართლომ, თანახმად 1653 მუხ. სისხლის სამართლისა და 279 მუხ. სამხედრო კანონისა პირველს შვიდს სასჯელი გარდაუწყვიტა: აბასს მიუსაჯა საუკუნო კატორღა, ხოლო დანარჩენს ექვსს—სიკვდილით დასჯა.

დურსუნი, დაშტემირი, ასტალი, დაგარი და ორი ბაითალოები—გაამართლა. ზარალის ზღვევის საჩივარიც შეიწყნარა, ხოლო, რადგან მომჩივართაგან არ იყო განსამზღვრული რაოდენობა ზარალისა—ნება მისცა მათ სამოქალაქო წესით ემიეთ დასჯილთაგანაო. (გაზ. „უარსი“,)

## გამოსადეგი ცნობა

—

ლიმონის წვენი ხუნაგისათვის. ასისტენტმა კენიგსბერგის საჰკიგიენო ინსტიტუტისამ, მკურნალმა ლაზერმა ამ ცოტა ხანში მრავალს ხუნაგით ავადმყოფზედ სცადა თურმე ლიმონის წვენი. აღმოჩნდა, რომ, მაშინაც-კი, როდესაც ეს ავადმყოფობა გაძლიერებულია, ლიმონის წვენის სმა ძალიან ამშვიდებს ავადმყოფს. პატარა ბავშვებს ლიმონის ნაჭრებს აძლევდნენ თურმე, ისანი დიდის სიამოვნებით სწუწნიდნენ წვენს და დიდს შეღავათს ჰგრძნობდნენ. მკურნალი ლაზერი ამბობს, რომ რამდენიმე ავადმყოფი ამ საშუალებით სრულიად მორჩნენ, მაგრამ თან დასძენს, რომ მაინც და მაინც იმას ვერ ვიტყვი, რომ ეს წამლობა ყოვლად მარგებლად და ერთად ერთ საშუალებათ იყოს ხუნაგის სენისათვისაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

„ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენის გაზეთის შემწეობით ვსთხოვო მთელის კავკასიის მასწავლებელთ (ქალთ, თუ კაცთ), როგორც სოფელში, აგრეთვე ქალაქ ადგილებში მყოფთ გამომიგზავნონ ცნობა იმის შესახებ, თუ რამოდენი შეგირდი სწავლობს იმ სკოლებში, სადაც ასწავლიან. ამასთანავე ვსთხოვ—შემატყობინონ მოწაფეთა რიცხვი მამრთა ცალკე და მდედრთა ცალკე და ისიც მომწერონ ვარაუდით რაგვარს ნივთიერ მდგომარეობაში იმყოფებიან დაახლოვებით მოსწავლეთა მშობელნი, უნდა ვიცოდეთ რიცხვი მცხოვრებთა ყოველ იმა ქალაქისა, სოფლისა და სხ.., ეს ცნობანი საჭიროა სამეცნიერო შრომისათვის, რომელსაც ეხლა შევუდგენ. დაახლოვებით ყოველს ცნობას მივიღებთ დიდის მადლობით. ვსთხოვ ეს ცნობანი ამ ადრესით მომაწოდონ: Москва, Тверская Меблир. комнаты Пфальцъ-пфейна. სტუდენტს ალექსანდრე კაჭკაჭოვს.

ვსთხოვ ბ-ნთ რედაქტორთ ყველა რუსულ გაზეთებისას კავკასიაში გადაჰბეჭდონ ეს წერილი. ამასვე ვთხოვ ქართულ ჟურნალ-გაზეთებსაც.

მოსკოვი, 2-ს ივნის. („Нов. Об,“)

ა. კაჭკაჭოვი

# დეპეშა

9 ივნისი

**ლონდონი.** დღეს 1 საათსა და 30 წუთზედ მემკვიდრე ცესარევიჩი გემით „Полярная звѣзда“ გრავეზენდს მოვიდა. ტილბიურის სამაგრიდგან ზარბაზნები დასცალეს და ამის შემდეგ მის უმაღლესობას წარუდგნენ რუსეთის საელჩოს მდივანი კრუპენსკი, სამხედრო აგენტი ერმოლოვი, ზღვათა აგენტი კაპიტანი როჟდესტვენსკი ❦ დედოფლის შტალმეისტერი პოლკოვნიკი ბინგი. მისი უმაღლესობა დამოენის ნაპირას ჩამოხდა და სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის სადგურისკენ გაიარა, სადაც საპატიო დარაჯი იყო გამწკრივებული ლეისტერშეირის რაზმისა მუსიკით. შემდეგ მისი უმაღლესობა საგანგებო მატარებლით ვალტონს წავიდა ლიუდვიგ ბატენბერგელის სანახავად.

პეტერბურგის ბირჟა, 7 ივნისი

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,48 | 7,51 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 149½ | 150¼ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 248¾ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 225½ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

Генваря 1842 г., кончено 11 Февраля на 24 листахъ“.). 1843 წ. ახალციხის სამაზრო სასამართლო იხილავს საფარის მონასტრის მამულების საქმეებს და სექტემბრის 15 დღესა სხვა-და-სხვა საბუთების ძალით ადგენს, რომ აღნიშნული მამულები დარჩეს სახელმწიფო უწყებაში, მხოლოდ გოგინოვს და აბინოვს (ამათ ერთად შეუსყიდიათ ზაიმაშვილებისაგან ეს მამულები) მიეცეთ ის ფასი, რომელიც დაუხარჯავთ ამ მამულების შესყიდვისათვის. როგორცა სჩანს საქმეებიდამ, მოდავენი გოგინოვი და აბინოვი არ დაკმაყოფილებულან სასამართლოს ამ-გვარის გარდაწყვეტილებით და საჩივარი გადაუტანიათ ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოში, რომელიც ხელ-მეორედ იხილავს ამ საქმეებს და 1848 წ. მაისის 28 დღესა სწყვეტს, რომ სინოდალურს კანტორას გამოეცხადოს უარი, მხოლოდ ეს სადავო მამულები გადავიდეს ისევ გოგინოვისა და აბინოვის მფლობელობაში, და ახალციხის სასამართლოს გარდაწყვეტილება ამის შესახებ გაუქმებულ იქმნას. სენატს ამ-გვარი გარდაწყვეტილება ქუთაისის საგუბერნიო სასამრთლოსი სამართლიანად დაუნახავს და დაუმტკიცებია 1854 წ. მარტის 10 დღესა. (იხ. იქვე დაცული საქმეები შემდეგის წარწერით: „Дѣло Ахалц. уѣздн. управленія стола 1-го №40, оприведеніи въ исполненіе рѣшенія Кутаискаго Губернскаго суда, состоявшагося по дѣлу о искѣ Сафарскимъ монастыремъ имѣнія въ селен. Грели, Андріацминда и Лашихеви изъ владѣнія Антона Гогинова и Петра Абинова, началось 26 мая 1854 г. кончено 11 Августа на 28 листахъ“.)

1888 წლიდამ თითქმის ხელ-მეორედ კიდევ ახლდება საფარის მონასტრის მამულების საქმე. ეხლა მონასტერი თავს ანებებს ყველა თავის მამულებს და დავობს მარტო იმ მცირე ადგილს, რომელიც მდებარებს გალავანს შიგნით და გალავანს გარშემო. გამიჯვნის დროს (1888 წ.) ახალციხის ბლაღოჩინი დავითაშვილი აცხადებს, რომ მონასტრისაა მთელი ის ადგილი, რომელიც მდებარებს გალავანს შიგნით და გალავანს გარშემო. ახალციხის მცხოვრებელი კ. ფირალაშვილი ამ ადგილს აცხადებს თავის კუთვნილებად, ხოლო ხაზინა გალავანს შიგნით მდებარე ადგილს თავს ანებებს და თავის კუთვნილებად სთვლის მარტო იმ ადგილს, რომელიც გალავანს გარშემოა. ეს საქმე გაარჩია ტფილისის საოლქო სასამართლოს გამიჯვნის განყოფილებამ ახალციხეში 1893 წ. ოქტომბრის 11-ს და გარდასწყვიტა საფარის მონასტრის სასარგებლოდ.

1894 წ. მაისის 5

ე. შილდელი



# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანცუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**კონკურსის მმართველობა, და ნიშნული** ვალების გარდახდის შეუძლებელ მესხებლის იასონ სოფრონის ძის იოსელიანის საქმეების განსაგებად, ამით აცხადებს, რომ 13 ივნისს ამა წლისას, დილის 10 საათზედ, ბათუმის მომრიგებელ სასამართლოში იგი შეუდგება საჯარო გასყიდვას ხსენებულის იოსელიანის 17 ნაჭერის ადგილისას, რომელიც მდებარეობს ქ. ბათუმში. (1—1)

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით, პირველ იანვრიდამ იძლევა ქირით სარდაფი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. მსურველს შეუძლიან ფასი ჰკითხონ „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს. (10—4)

# კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი

ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—166)

**500 წიგნი** ინგლისური, ფრანგული და ნემეცური მეოთხედ ფასად ისყიდება უფალ მ. მურტაგთან, რომელიც ინგლისში ბრუნდება. ადრესი: ლაბორატორის ქუჩა, № 4, ეზოში, 10-დამ 3 საათამდის.

იქვე იაფად: ბროლის სათვალეები, სკრიპკა, ფლეიტა, „rewues“ შვიდ კაპეიკად.

(4—1349—4)

გამოვიდა ❦ ისყიდება
ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში
ახალი წიგნი

# საქართველო

❦

მისი ისტორიული წარსული დრო
ვ. პოტტოსი
თარგმანი ი. ბაქრაძისა
ფასი ორი აბაზი

იქვე: „მოსე მწერალი“, მოთხრობა ე. ნინოშვილისა
ფასი ერთი აბაზი
❦
უოველგვარი ქართული წიგნები
(3—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |